შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“ (ID 202235296)
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 128/20

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“(ID 202235296)
63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„29“ მაისი 2020წ

საექსპერტო (კონსტრუქციული) დასკვნა

ქალაქი თბილისი, სექტორი-ისანი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №120 (ყოფ. ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა №42), შ.პ.ს. „ისანი პლიუსი“-ს (ს/კ: 206306255) თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.11.029.026 IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის „B“ ბლოკის სამშენებლოდოკუმენტის დარღვევით ნაწარმოებ სამშენებლო სამუშაოებზე, პროექტის დარღვევითაშენებული შენობის ნაწილების სამშენებლო ნორმებთან და წესებთან შესაბამისობისა დაპროექტის დარღვევით აშენებული შენობის ნაწილების გათვალისწინებით მშენებარე შენობის („B“ ბლოკი) საერთო მდგრადობის შესახებ.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის სპეციალისტების მიერ გამოკვლევა ჩაუტარდა ზემოთაღნიშნულ მისამართზე მდებარე IV კლასის ობიექტს (მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის „B“ ბლოკს), სამშენებლო დოკუმენტის (პროექტის) დარღვევით განხორციელებული მშენებლობის ვარგისიანობის, პროექტის დარღვევით აშენებული შენობის ნაწილების სამშენებლო ნორმებთან და წესებთან შესაბამისობისა და პროექტის დარღვევით აშენებული შენობის ნაწილების გათვალისწინებით მშენებარე შენობის საერთო მდგრადობაზე ზეგავლენის დასადგენად, ასევე განხილული იქნა IV კლასის ობიექტის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, რის მიხედვითაც ხორციელდებოდა მშენებლობა.

საპროექტო IV კლასის მრავალფუნქციური შენობა წარმოადგენს ორი ბლოკისაგან (ბლოკი „A“ და ბლოკი „B“) შედგენილ ნაგებობას, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია სეისმური (სადეფორმაციო) ნაკერით.

შეთანხმებული პროექტის დარღვევით აშენებული შენობის ნაწილები ეხება მხოლოდ „B“ ბლოკს.

ბლოკი „B“-ს ძირითადი ნაწილი თოთხმეტსართულიანია. ბლოკი „B“-ს შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, მცირე შეჭრით +6,10 ნიშნულიდან, გაბარიტული ზომებით ღერძებს შორის 12,00X35,70მ. ძირითადი შენობის სვეტების ბიჯი გრძივი მიმართულებით შეადგენს: 5,70მ; 5,80მ; 6,00მ; 6,30მ; 6,20მ; და 5,80მ; სვეტების ბიჯი განივი მიმართულებით შეადგენს: 6,0მ (2 მალი) კონსტრუქციული სქემის მიხედვით ნაგებობა (ბლოკი „B“) მონოლითური რკ/ბეტონის კარკასულ-კავშირებიანი ტიპისაა.

ნაგებობის მზიდი კონსტრუქციები გაანგარიშებულია პროგრამული კომპლექსის „Lira-sapr 2011“-ის საშუალებით.

სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას. ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს 85კგ/მ^2; თოვლის ნორმატიული დატვირთვა 50კგ/მ^2.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე საძირკვლების ფუძედ მიღებულია კენჭნარი გრუნტი საანგარიშო წინაღობით კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_0=4,5კგძ/სმ^2; დეფორმაციის მოდულით E=400კგძ/სმ^2

მშენებარე ნაგებობის ყველა მზიდი კონსტრუქცია შესრულებულია მონოლითურ რკინა-ბეტონში. ნაგებობის მზიდ კონსტრუქციულ სისტემად ორივე მიმართულებით მიღებულია მონოლითური რკინა-ბეტონის ჩარჩოები, მონოლითური რკინა-ბეტონის სართულშუა გადახურვებით. კარკასის შევსება შესრულებულია წვრილი ბლოკებით წყობის კედლებით.

შენობის კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება (ბლოკი „B“):

- საძირკვლების დაპროექტებულია და შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონის ბურღვით დანატენი ხიმინჯების სახით, დიამეტრით 140სმ;
- ხიმინჯები თავის ნიშნულზე შეკრულია მონოლითური რკ/ბეტონის კოჭებით (როსტვერკით), გრძივი და განივი მიმართულებით, 200X120(h)სმ.
- სვეტები დაპროექტებულია და შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, სხვადასხვა განივი კვეთებით: 120X70სმ. +6.00 ნიშნულამდე; 100X70სმ. +19.20 ნიშნულამდე; 80X70სმ. +22.50 ნიშნულამდე; 80X50სმ. +29.10 ნიშნულამდე; 80X40სმ. +39.00 ნიშნულამდე და 60X40სმ. +44.40 ნიშნულამდე;
- რიგელები დაპროექტებულია და შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, განივი კვეთებით: 40X60(h)სმ; 50X60(h)სმ;
- სართულშუა გადახურვის ფილები დაპროექტებულია და შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან კოჭოვანი ტიპის სახით, სისქით 18სმ.
- დიაფრაგმები დაპროექტებულია და შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, სისქით 30სმ; 20სმ;
- კიბის უჯრედები დაპროექტებულია და შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონის მარშებით, ბაქნებით და საფეხურებით.
- გარე კედლები წარმოადგენს კარკასის (ჩონჩხედის) შევსებას, ისინი „პემზობეტონის“ მცირეგაბარიტიანი ბლოკების წყობისაა, სისქით 30სმ; 20სმ;
- პროექტში გათვალისწინებულია კედლების ჩამაგრება კარკასის ელემენტებთან (სვეტებთან).

შენობის (ბლოკი„B“) მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკ/ბეტონის სივრცული ჩარჩო-კავშირებიანი კარკასი, ბეტონის საპროექტო კლასი შეადგენს: B-25; არმატურების საპროექტო კლასი მზიდ კონსტრუქციებში: A-III; A -240 c და A-500c.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ მიერ, 30.04.2020 წელს, (პინი: 9521) წერილის ნომერი: 17-0120121988, გამოვლინდა, რომ მშენებარე ობიექტზე, 06.05.2019წ. №4485543 ბრძანებით (08.05.2019წ. №4491997 ბრძანება მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ) შეთანხმებულ პროექტთან მიმართებაში, პროექტის დარღვევით ნაწარმოები იყო შემდეგი სახის სამუშაოები:

- ფასადებზე შეცვლილია ფანჯრების ვიტრაჟების ნახატი, ასევე ნაწილობრივ შეცვლილია მათი გაბარიტი: ცვლილება შეეხო ძირითადად ქუჩის ფასადს, ფანჯრები იყო ერთიანი და ვერტიკალური პროფილით გაიყო არათანაბარ ნაწილებად, სადაც დიდი ნაწილი იღება, ასევე 10სმ-თი შემცირდა აივანებზე გამოსასვლელი ვიტრაჟების სიმაღლე.
- ნაწილობრივ შეცვლილია მოაჯირის ნახატი: საუბარია ქუჩის ფასადზე „ე-გ“ ღერძებს შორის მოაჯირებზე, სადაც შეთანხმებული პროექტით, მოაჯირს შუა ნაწილში ჰქონდა ჯვარედინი (X) ფორმის ელემენტი, მოეწყო ვერტიკალური ტიპის ელემენტი.
- სადარბაზოებში გაზრდილია ბინების რაოდენობა.
- ნაწილობრივ შეცვლილია აივნების გაბარიტი: საუბარია კვლავ ქუჩის ფასადზე, „ე-გ“ ღერძებში მოწყობილ ფრანგული ტიპის აივნებზე, პროექტში მითითებულია 30სმ, ხოლო რეალურად მოწყობილია 20სმ. გამომდიანრე იქიდან, რომ პროექტი აღნიშნულ ფილებზე ითვალისწინებს კარნიზის ტიპის ელემენტის მოწყობას პერიმეტრზე, რაც დააფიქსრისებს 30სმ-ს. იმ შემთხვევაში თუ არ განხორციელდება კარნიზის მოწყობა, მოხდება შესაბამისი კორექტირება.
- სართულებზე კოლონები და კედლები მოწყობილია ერთ სიბრტყეში: აღნიშნული შენიშვნა ზოგადია და გაუგებარი, ვინაიდან რეალურადაც კოლონები და კედლებიც მოწყობილია პროექტის შესაბამისად. გამომდინარე იქიდან რომ შენობის ძირითად

ს. ს. „ბაზისი XXI“ LTD * „XXI“ 96

ნაწილზე ნაწარმოებია ლესვა, როგორც გარედან, ისე შიგნიდან, შესაძლოა ამ ფაქტორის გამო არასწორად მოხდა შენიშვნის დაფიქსირება.
–„თ-ა“ ფასადი: „თ-ზ“ და „ბ-ა“ მონაკვეთებში +8.80 ნიშნულიდან +35.80 ნიშნულის ჩათვლით აივნებზე გაუქმებულია კაპიტალური კედლები: აივნების მიჯნის ზონებზე კაპიტალური კედლების ნაცვლად ეწყობა ლითონის ჟალუზის ტიპის ელემენტი, ამავე ნაკვეთზე დასრულებული ბლოკის ანალოგიურად.
– +5.50 ნიშნულიდან +8.80 ნიშნულის ჩათვლით ფასადი მოპირკეთებულია: პროექტში აისახება არსებულის შესაბამისად.
– „ე-გ“ მონაკვეთში +9.40 ნიშნულზე გაუქმებულია აივნები და ვიტრაჟების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები: მესამე სართულის ქუჩის მხარე, ფასადი, „ე-გ“ ღეძებს შორის, კორექტირებულ პროექტში აისახა არსებულის შესაბამისად.
– +38.20 ნიშნულზე ნაწილობრივ შეცვლილია კედლების ფორმა: რეალურად მონოლითური კოლონები მოეწყო ქვედა სართულის შესაბამისად, რამაც გამოიწვია ცვლილება.
– +35.80 ნიშნულზე „ე-გ“ მონაკვეთში ვიტრაჟებს მონაცვლებული აქვს ადგილი ფასადის სიბრტყეზე, რის გამოც აივნების ნაცვლად მოწყობილია ფრანგული აივნები და გაზრდილია შიდა ფართი: განმეორდა ქვედა სართულის იდენტური ერკერი,
– „ა-თ“ ფასადი: „დ-ე“ მონაკვეთში +3.45 ნიშნულზე აივნის ფილაზე დამატებით მოწყობილია ლითონის შველერი.
– +3.45 ნიშნულზე „ე-ზ“ მონაკვეთში კედელი მოპირკეთებულია: ფაქტობრივად მოპირკეთებულია მხოლოდ +6.10 ნიშნულის სართული, შენიშვნა არასწორად არის დაფიქსირებული.
– „დ“ ღერძის მარჯვნივ დამატებით მოწყობილია ლითონის ცხაურები, კედლები: აივნების მიჯნის ზონებზე კაპიტალური კედლების ნაცვლად ეწყობა ლითონის ჟალუზის ტიპის ელემენტი, ამავე ნაკვეთზე დასრულებული ბლოკის ანალოგიურად.
– „1-3“ ფასადი: +4.55 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია: საუბარია დროებით კონსტრუქციაზე, რომელიც მოეწყო უსაფრთხოების მიზნით, ობიექტის დასრულებისას მოხდება კონსტრუქციის მოხსნა.
– +22.60 ნიშნულზე ნაწილობრივ შეცვლილია კედლის ფორმა: „3“ ღერძთან, მეშვიდე სართულიდან ზევით, აივანთან კედელი მცირედით გამოდის წინ, რის გამოც ფასადზე ჩნდება დამატებითი ვერტიკალური ხაზი.
– „3-1“ ფასადი: +6.10 ნიშნულზე „3-1“ მონაკვეთში კედელი მოპირკეთებულია.
– +43.40 ნიშნულზე გაზრდილია მონოლითური კედლის გაბარიტი: ნიშნული არასწორად არის მითითებული, ამ სიმაღლემდე შენობა ჯერ არ არის ასული, ხარვეზი სავარაუდოდ ეხება ტექნიკურ სართულს.
– გეგმების მიხედვით: +0.00 ნიშნულზე „დ-დ“ ღერძზე „2-1“ მონაკვეთში მონოლითურ კედელში დამატებით მოწყობილია ღიობი: საუბარია კომერციული ფართების №1 და №2-ის გამყოფ კედელზე.
– „დ1-ე“ მონაკვეთში გაზრდილია კიბის საფეხურების რაოდენობა: აღნიშნული დამატებითი საფეხური გაუქმდება, ვინაიდან 0.00 ნიშნულის დონე ამჟამად არის სამშენებლო (-0.15), საბოლოო იატაკის მოწყობის შემდეგ აღნიშნული საფეხური გაუქმდება და კიბე მოვა პროექტთან შესაბამისობაში.
– „გ-დ1“ მონაკვეთში შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტები: ცვლილება უმნიშვნელოა.
– +3.55 ნიშნულზე „ა-გ“ მონაკვეთში კედელში დამატებით მოწყობილია ღიობები: აღნიშნული ღიობები ეწყობა „ა-თ“ ფასადზე „გ“ ღეძის მარცხენა და მარჯვენა მხარეს. პრაქტიკულად მთელი შენობის სიმაღლეზე, ყრუ ნაწილში მოხვედრილი სათავსების გასანიავებლად.
– „დ1-ე“ მონაკვეთში (+3.55-ზე) სადარბაზოში შესასვლელ კარს და კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი, რის გამოც შემცირებულია სადარბაზოს ფართი და

საქართველო GEORGIA 202235 "BAZIS"

გაზრდილია აივნის ფართი: კარის შეწევა მოხდა 1,3 მ-ით, კარის მარჯვნივ კედელზე ეწყობა გაზის მრიცხველები რის გამოც აღნიშნული კედელი მოექცა ღია სივრცეში – +6.10 ნიშნულზე „ა-ბ“ მონაკვეთში ნაწილობრივ შეცვლილია ტერასის გაბარიტები: მცირე გაბარიტული ცვლილებაა.

ზემოთჩამოთვლილი ყველა დარღვევა და ცვლილება, რომლებიც ეხება ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, გამოწვეულია კონსტრუქციული გადაწყვეტებით და ნაგებობის კორექტირებული ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის სივრცული ანგარიშის შედეგებიდან გამომდინარე აუცილებლობით. აშენებულ ობიექტზე არსებული ყველა დარღვევა და ცვლილება, რომლებიც ეხებოდა ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, გათვალისწინებული იყო პროექტის კორექტირებულ კონსტრუქციულ ნახაზებში. აშენებულ შენობაში უკვე ნაწარმოები ცვლილებები შესრულებულია ადრე დაკორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნახაზების შესაბამისად და ნაგებობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის სივრცული ანგარიშის შედეგების გათვალისწინებით.

<u>დასკვნა:</u>

შესრულებული გამოკვლევის საფუძველზე შ.პ.ს. „ბაზისი XXI“ ადგენს, რომ ქალაქი თბილისი, სექტორი-ისანი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №120 (ყოფ. ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა №42), შ.პ.ს. „ისანი პლიუსი“-ს (ს/კ: 206306255) თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.11.029.026 IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის „B“ ბლოკის შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტის (პროექტის) დარღვევით აშენებული ნაწილები (მზიდი კონსტრუქციები) მათი საერთო მდგრადობის თვალსაზრისით აკმაყოფილებენ მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს, უარყოფით ზეგავლენას არ ახდენენ ნაგებობის საერთო მდგრადობაზე. სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოებია ხარისხიანად.

ექსპერტიზა დადებით შეფასებას აძლევს მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის „B“ ბლოკის სამშენებლო დოკუმენტის (შეთანხმებული პროექტის დარღვევით) აშენებულ არსებულ ნაწილებს; მიაჩნია, რომ ისინი აკმაყოფილებენ ნაგებობის საერთო მდგრადობის პირობებს და ვარგისი არიან მშენებლობის გაგრძელებისა და შემდგომში IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის „B“ ბლოკის ხანგრძლივი, უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი,
ექსპერტი–კონსტრუქტორი: /ვახტანგ ჯაფარიძე/





ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 115518
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10105547
ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/09/2010 15:40:23

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბაზისი XXI
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, აღმაშენებლის გამზირი 63ა
საიდენტიფიკაციო კოდი:	202235296
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	12/12/2003
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	2/4-3679
მარეგისტრირებელი ორგანო:	დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.-ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001003423, იოსებ ცერცვაძე,
  გენერალური დირექტორი, ,
- 01005021796, ვახტანგ ჯაფარიძე,
  , , აღმასრულებელი დირექტორი

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01001003423, იოსებ ცერცვაძე,	100.00000000%	202235296-SH-00001

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

დიპლომი

წარჩინებით

ИВ № 257304

ეს დიპლომი მიეცა ჯაფარიძე
გივის ძე ვახტანგს
მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი. ლენინის სახ.
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1985 წელს დაამთავრა
აღნიშნული
ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით სამრეწველო
და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ.
3 ... დადგენილებით
მ. მ. ... მიენიჭა
ინჟინერ-მშენებლის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1986 წ. 29 « 05

1276

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

ИВ № 257304

Настоящий диплом выдан Джапаридзе
Вахтангу Гивиевичу
в том, что он в 19 80 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 19 85 году окончил полный курс
названного
института
по специальности промышленное
и гражданское
строительство

Решением Государственной экзаменационной
комиссии от ... 1985 г.
В Г
присвоена квалификация инженера
-строителя

Председатель Государственной
экзаменационной комиссии

М. П.

Город Тбилиси „29" 05 1986 г.

1276

Georgia IDENTITY CARD

საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME
ვახტანგ
VAKHTANG

გვარი / LAST NAME
ჯაფარიძე
JAPARIDZE

[illegible] / [illegible] | სქესი / SEX | პირადი No / PERSONAL No
GEO | მ / M | 01005021796

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH | მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY
10.06.1963 | 26.06.2026

ბარათის No / CARD No
15IC19267

ხელმოწერა / SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
26.06.2016

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

```
IDGEO15IC19267501005021796<<<<
6306106M2606266GEO<<<<<<<<<<<1
JAPARIDZE<<VAKHTANG<<<<<<<<<<<
```

ინფორმაცია საპროექტო და საექსპერტო სამუშაოთა შესახებ

მე, ვახტანგ ჯაფარიძე, 1985 წლიდან ვეწევი საპროექტო საქმიანობას შ.პ.ს. „თბილქალაქ-პროექტ"-ში; 1997 წლიდან ვთანამშრომლობ სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან, სადაც ვასრულებ საპროექტო და საექსპერტო სამუშაოებს; ასევე ვეწევი სამშენებლო ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველობას. 2004 წლიდან ვარ შ.პ.ს. „ბაზისი XXI"-ის აღმასრულებელი დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი.

<u>ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტები:</u>

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საგარეჯოს ქ. №7-7ა;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქეთევან წამებულის გამზ. №15-17;
- მიწისძვრისაგან დაზიანებული, ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის გამაგრების პროექტი;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში;
- 10 სართულიანი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის პროექტი ქ. თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
- ღვინის ქარხანა ყვარელის რ/ნ, სოფელ შილდაში;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საბურთალოს ქ. №31;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შატბერაშვილის ქ. №7 და შატბერაშვილის ქ. №9;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მარუხის გმირების ქ. №11;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ვ. ივერიელის ქ. №32 / საბადურის ქ. №32-32ა, №34;
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

<u>ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული საექსპერტო სამუშაოები:</u>

- ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, სოფელ სართიჭალასა და სოფელ სააკაძეში, შ.პ.ს. „ჩირინა"-ს მეფრინველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე, მდებარე შენობების საერთო მდგრადობისა და ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების საპროექტო მონაცემებთან შესაბამისობის შესახებ; საექსპერტო შეფასებები კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შავიშვილის ქ. №1 / ქავთარაძის ქ. №19, შ.პ.ს. „მონოლით ჯგუფი"-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. გურჯაანში, თავისუფლების ქუჩა № 6-ში, „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ"-ის ავტოგასამართი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა I, №20/ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება მე-3 ქუჩა №17/ ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება I ქუჩა №22, ე.ს. ამხანაგობა „იმედი 2015"-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, ქინძმარაულის I შესახვევი №1-ში, შ.პ.ს. „უნიმედი კახეთი"-ს მიწის ნაკვეთზე მდებარე არსებული რეფერალური ჰოსპიტალის შენობის გამაგრება-გაძლიერების პროექტზე.
- ქ. რუსთავში, სექტორი-ჟ. შარტავა, მიკრო/რაიონი XXI, №16 და №22 სახლებს შორის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა უშანგი ჩხეიძის, №12-14-16 შ.პ.ს. „ბელი"-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №74, შ.პ.ს. „სალეუს დეველოპმენტი"-ს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა წინანდალი №9 შ.პ.ს. „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ"-ს საგანმანათლებლო ცენტრის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, კახეთის გზატკეცილის მე-7 კმ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „R.I.G. GAS"-ის ნავთობბაზის ობიექტების პროექტის კონსრტუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა წინანდლის, №9, (ნაკვეთი №01/107) შ.პ.ს. „კარდიოლოგიური კლინიკა გული"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.13.001.315 არსებული საავადმყოფოს რეკონსტრუქციის (დაშენება-გადაჯდომით) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, შ.პ.ს. „აკა"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე №01.10.06.009.042 მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა ნარიმანოვი, №12, შ.პ.ს. „ემ. ჯი. ალიანსი"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხ. სახლის (ბლოკი: №1–№6) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

მოწოდებულ ინფორმაციას ვადასტურებ,
შ.პ.ს. „ბაზისი XXI"-ის
აღმასრულებელი დირექტორი: /ვ. ჯაფარიძე/

შეთავაზებული სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები

შეთავაზებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი
ფირმის დასახელება	„ბაზისი XXI“
გვარი, სახელი	ჯაფარიძე ვახტანგ
პირადი №	01005021796
დაბადების თარიღი	10. 06. 1963
საცხოვრებლის მისამართი	ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. №20
ელ.ფოსტა	bazisi xxi@yahoo.com
საკონტაქტო ტელეფონი	595 27 21 27
პროფესია	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი, დამპროექტებელი
საპროექტო ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი	35 წელი
ექსპერტად მუშაობის სტაჟი	20 წელი
მოვალეობის დეტალურად აღწერა	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების კონსტრუქციების გაანგარიშება- დაპროექტება
განათლება 1980-1985წწ	უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი
ძირითადი კვალიფიკაციები 1985 წლიდან დღემდე	შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტი“-ს წამყვანი კონსტრუქტორი, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის მთავარი კონსტრუქტორი
დაპროექტებული ობიექტები 1985-2020წწ	მრავალი ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საწარმოო დანიშნულების ობიექტები, შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტები
თარიღი	29.05.2020წ.

ენები	კითხვა	წერა	ლაპარაკი
ქართული	მშობლიური	მშობლიური	მშობლიური
რუსული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად

დადასტურება

მე, ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი ვახტანგ ჯაფარიძე

შპს „ბაზისი XXI“ * საქართველო * GEORGIA. "BAZISI XXI" LTD 202235296